# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

6 აპრილი. შაბათი. 1991 წ.
№ 63 (10 476) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## მეოთხე წრე—მხ შკვე წარმატებაა!

**ჰილტონ-ჰედ აილენდი (აშშ, სამხრეთ კაროლინის შტატი).** ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს საკმაოდ გრძელი სახელი აქვს — „ფემილი სერკლ მეგეზინ კაპი" და საკმაოდ მაღალი საპრიზო ფონდი — ნახევარი მილიონი დოლარი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ჰილტონ-ჰედაილენდში თავი მოიყარა მსოფლიოს ბევრმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა ქალმა, დააკვირდით ვვარებს: მარტინა ნავრატილოვა, გაბრიელა საბატინი, არანტა სანჩესი, ჰელენა სუკოვა, იანა ნოვოტნა, ჯენიფერ კაპრიატი და სხვები. უძლიერესთა ათეულიდან, თუ არ ვცდებით, არ მონაწილეობენ მხოლოდ მონიკა სელეში, შტეფი გრაფი...

ერთი სიტყვით, ყოველი გამარჯვება ასეთ ავტორიტეტულ ტურნირში ქულათა გარკვეულ რაოდენობას იძლევა მსოფლიო კლასიფიკაციაში. მოვიდა საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ლელა მესხმა კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ ტურნირში და მეოთხე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. ამჯერად მან დაამარცხა ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა ჩოგბურთელი მსოფლიოში, ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 3:6, 6:3, 6:3.

მესამე წრის სხვა შედეგებიდან შეიძლება გამოვყოთ: ნატალია ზვერევა — სანდრა ჩეკინი (იტალია) 7:6, 6:3. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — პეტრა ლანგროვა (ჩეხოსლოვაკია) 6:3, 6:4. იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია) — ფლორენსია ლაბატი (არგენტინა) — 6:1, 6:1. მეოთხე ტურში გავიდნენ, აგრეთვე, გაბრიელა საბატინი (არგენტინა), არანტა სანჩესი (ესპანეთი), ჰელენა სუკოვა (ჩეხოსლოვაკია).

## [illegible] რჩეულთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონობის ეს ხაგალი არც ერთ [illegible] საქართველოს მოსწავლე (1977–78 წლებში დაბადებულნი) კალათბურთელთა ნაკრების წარმატება თანატოლთა საკავშირო ჩემპიონატში ახლა ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა, დღეს, როცა ქართულ კალათბურთს არც ისე ულხინს, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მოზარდებთან მუშაობას უნდა მიექცეს, რათა სრულად გამომჟღავნდეს ჩვენი პოტენციალი სპორტის ამ სახეობაში. „ფარული რეზერვი" კი უდავოდ არსებობს. სწორედ ამის ლამპარია ჩვენი ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრების ბოლო გამარჯვებაც.

თუმც ჯობს თავიდან მივყვეთ მოვლენებს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მოზარდთა შორის იანვარში დაიწყო. მაშინ სამ ქვეჯგუფში ექვს-ექვს გუნდად დანაწილებული კოლექტივები არკვევდნენ ერთმანეთში ურთიერთობას. საქართველოს ნაკრები, რომელიც ძირითადად „მართვე-I"-ის ბაზაზე იყო დაკომპლექტებული (შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი შარშან რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა), ქვეჯგუფში რსფსრ-I, მოლდავეთის, ლენინგრადის, ესტონეთისა და ტაჯიკეთის გუნდებთან მოხვდა. შეჯიბრება ამ ქვეჯგუფში სოჭში გაიმართა. დებულებით, ქვეჯგუფიდან ორი გუნდი გადიოდა ასპარეზობის ფინალურ ეტაპზე — პირველ ადგილზე გასული ერთი ოქროს ქულით, მეორეზე — ნოლი ქულით. ქართველი მოსწავლეები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ მათთვის მეტად პრესტიჟულ შეჯიბრებას: ყველა მეტოქე დაამარცხეს და ფინალში „საგზლად" ოქროს ქულაც „გაიყოლეს."

წარმატებით შეგულიანებულებმა, საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საქართველოში ჩატარების სურვილიც გამოთქვეს. მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს და მარტის ბოლოს კვლავ სოჭში გაემგზავრნენ, სადაც საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო ჩემპიონის ვინაობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩემპიონატის ისტორიის მანძილზე ფინალში ასეთ ძლიერ კოლექტივებს არასდროს მოუყრია თავი: მოსკოვი, უკრაინა-I, უკრაინა-II, რსფსრ-I, რსფსრ-II და საქართველო. ასპარეზობა მართლაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ქართველმა მოსწავლეებმა შეასრულეს თავიანთი „პროგრამა-მაქსიმუმი", ფინალში უკრაინა-II დაამარცხეს ანგარიშით 64:55 და თანატოლთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ.

დავიხსომოთ ეს სახელები: ჯაბა ანიკაშვილი, ლევან ქარაბაკი, დიმიტრი ორჯონიკიძე (თბილისის „დინამო"), ნიკუშა ხაზარაძე (ქუთაისი), სერგო გოლოვჩენკო (ფოთი), გოგა ზუბიაშვილი, გოჩა წოწელია, ბექა თავართქილაძე, მიშიკო ფხაკაძე, მიშიკო ბარამიძე, გოგიტა ბარათაშვილი, ლადო ძნელაძე, აჩიკო ბოკერია, ზურაბ პოლოლიკაშვილი (ყველანი — „მართვე") — იქნებ ასაფრენად გამზადებულმა ამ მართვეებმა შემდგომში თავიანთი სიტყვა დიდ კალათბურთშიც თქვან.

**ინგა ჩახვაშვილი**

## მინიფეხბურთი, პირველი ჩემპიონატი

როგორც ვიუწყებოდით, 10 აპრილიდან იწყება მინიფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატი. კენჭისყრამ ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ასე დააჯგუფა:

**„ა" ჯგუფი**

1. „ვაკე" თბილისი
2. „კოლხა" ქუთაისი
3. „არქეოპოლისი" სენაკი
4. „ქობულეთი" ქობულეთი
5. „იმედი" წითელწყარო
6. „შევარდენი" ველისციხე

**„ბ" ჯგუფი**

1. „ფაზისი" ფოთი
2. „იმედი" ფოთი
3. „იმედი" თბილისი
4. „ოჩამჩირე" ოჩამჩირე
5. „ნარიჩხი" ნატანები
6. „მედიკოსები" ქუთაისი
7. „საბურთალო I" თბილისი

**„ბ" ჯგუფი**

1. „რუსთავი" რუსთავი
2. „ქვ. ბახვი-87" ქვ. ბახვი
3. „ნაგუთი" ჭიათურა
4. „ოცნება" ხიდისთავი
5. „არგონავტები" ფოთი
6. „ხიხანი" ბათუმი
7. „დიღომი" თბილისი

**„დ" ჯგუფი**

1. „აისი" ქუთაისი
2. „შრომა" შრომა
3. „ჩიბათი" ლანჩხუთი
4. „შუქურა" სოხუმი
5. „მელიორატორი" თბილისი
6. „ოკანე" ხონი
7. „ჩუღურეთი" თბილისი

„ა" ჯგუფის თამაშები გაიმართება ქ. თბილისში 10 აპრილიდან.

„ბ" ჯგუფის ტური 25 აპრილს დაიწყება რუსთავში. შემდეგი ორი ტური „ბ" და „დ" ჯგუფების მონაწილეობით შესაბამისად გაიმართება ფოთსა და ქუთაისში.



თბილისში, საქართველოს ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი), გაიხსნა აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინეს ალექსანდრე კოტორაშვილმა („ლელო"), ზურაბ დათუაშვილმა, სპარტაკ ჯანიაშვილმა, დავით იაკობაშვილმა და შალვა გოქაძემ. ბევრი ნამუშევარი ეძღვნება თემას „სპორტი და რელიგია."

ასეთი გამოფენა საქართველოში პირველად მოეწყო. „ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ" — იქნებ სწორედ ამიტომაც ჩაწერა ეს სიტყვები უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შთაბეჭდილებათა წიგნში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## გამოვა ინვალიდთა სპორტული გაზეთი

ეს საკითხი, რომელიც ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ძნელაძემ ამ ცოტა ხნის წინათ დააყენა დღის წესრიგში, ახლა უკვე შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

წინადადებას ყველგან გაგებით და დახმარების გაწევის სურვილით შეხვდნენ. გუშინ „ლელოს" რედაქციაში გაიმართა საინიციატივო სხდომა. ახალი გაზეთის გამოცემის მნიშვნელობასა და მიმართულებაზე ინფორმაციით გამოვიდა მწერალი ედიშერ გიორგაძე. შეკრებილთ გაზეთის ორგანიზაციული სტრუქტურა გააცნო ფედერაციის კომერციულმა დირექტორმა გიორგი ნიჟარაძემ.

სხდომამ აირჩია დროებითი სარედაქციო კოლეგია, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ე. გიორგაძეს.

ახალი გაზეთი გამოვა როგორც „ლელოს" ოთხგვერდიანი ჩანართი და მკითხველი მას დეკადურად (ყოველ ათ დღეში ერთხელ) მიიღებს.

გაზეთის პირველი ნომრის გამოცემისათვის მზადება უკვე დაიწყო.

**საქართველოს ჩემპიონატი ფარიკაობაში. თბილისი — მხოლოდ ტექნიკური შედეგები**



დიმიტრი გოგლიჩიძე



გია კვარაცხელია



არჩილ ლორთქიფანიძე



ნინო ხელაძე



ქეთინო მირიანაშვილი

**ვაჟები.**

**დაშნა.** 1. დიმიტრი გოგლიჩიძე, 2. გოჩა ზურაბიშვილი, 3. ჯემალ გამიაშვილი (სამივე — თბილისი).

**რაპირა:** 1. გია კვარაცხელია, 2. ოლეგ ჩერნიშოვი, 3. ვლადიმერ აფციაური (სამივე — თბილისი).

**ხმალი.** 1. არჩილ ლორთქიფანიძე, 2. აკაკი მახარაძე, 3. კახა მახარაძე (სამივე — თბილისი).

**ქალები. დაშნა.** 1. ნინო ხელაძე (თბილისი), 2. რუსუდან გოგიავა (აჭარა), 3. ნანა გოგოლაძე (თბილისი).

**რაპირა.** 1. ქეთინო მირიანაშვილი (თბილისი), 2. ლელა ხონელიძე (ქუთაისი), 3. ხათუნა ჭუმბურიძე (თბილისი).

**გუნდური შედეგები. ვაჟები. დაშნა.** 1. თბილისი-I, 2. თბილისი-II, 3. აჭარა. **რაპირა.** 1. თბილისი-I, 2. თბილისი-II, 3. აჭარა. **ხმალი.** 1. თბილისი-I, 2. თბილისი-II, 3. ქუთაისი.

**ქალები. დაშნა.** 1. ქუთაისი, 2. აჭარა, 3. თბილისი-II. **რაპირა.** 1. თბილისი-I, 2. თბილისი-II, 3. ქუთაისი.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ცხუმი“ (სოხუმი) 1:2 (0:3).**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 3 აპრილი.

„ამირანი“: მიქაია, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შამუგია, შიროკი, ზ. ლურწკაია, ურთმელიძე, ქობალია, გაბისონია, პაპასკირი.

„ცხუმი“: ქვაჩახია, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი (კოხონელიძე), მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა (ა. სიჭინავა), გაბესკირია.

მსაჯები: ვ. შელია, რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (სამივე — გაგრა).

**როგორც** ცნობილია, ჯერ არ დასრულებულა ოჩამჩირის ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია და ამიტომ „ამირანი“ შინ დანიშნულ მატჩებს გარეთ მართავს. ამჯერად, „ცხუმთან“ შეთანხმებით, შეხვედრა სოხუმში მოეწყო და ამდენად ოჩამჩირელები სიმბოლურად მოგვევლინნენ მასპინძლის როლში.

შეხვედრა სოხუმელთა იერიშებით დაიწყო და უკვე მე-9 წუთზე გოგიაშვილმა კარგად გამოიყენა ჩიხრაძის ზუსტი პასი, პირისპირ გავიდა მეკარესთან და ვახსნა ანგარიში.

ოჩამჩირელებსაც ჰქონდათ აშკარა საგოლე მომენტი, მაგრამ ზუსტად თამაშობდა სოხუმელთა ახალგაზრდა მეკარე ზურაბ ქვაჩახია, რომელმაც რამდენჯერმე მოიგერია ქობალიასა და შიროკის მიერ დარტყმული ბურთები, ერთხელ კი „ცხუმის“ კართან მარტოდ დარჩენილმა გაბისონიამ იჩქარა და არაზუსტად დაარტყა.

ტაიმის მიწურულს ოჩამჩირელები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ 73-ე წუთზე კვლავ გოგიაშვილმა მეორედ აიღო „ამირანის“ კარი. ოჩამჩირელებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, ეზრუნათ პრესტიჟის გოლის გასატანად და შეძლეს კიდეც ეს: შეხვედრის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როცა შიროკიმ მიიღო გაბისონიას ზუსტი გადაცემა და ძლიერად, ზუსტად დაარტყა კარისკენ.

**თენგიზ პაპაორია,**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

**„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 0:1 (0:1).**

თბილისი. „შევარდენის“ სტადიონი. 3 აპრილი.

„შევარდენი“: გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ყიფიანი, (ზეიკიძე), ქობელაშვილი, მინაშვილი.

„ოდიში“: გელენავა, კვიტატიანი, ნაჭყებია, თეთრაძე, ჯავაშვილი, შონია, მალანია, შეროზია (სართანია), კვარაცხელია, ყიზილაშვილი, თევზაძე (ტიბუა).

მსაჯები: ტ. ნიშნიანიძე, ი. შალამბერიძე, რ. ტალიაშვილი (სამივე — თბილისი).

**თავიდანვე** ვიტყვით, რომ თამაში არცთუ კორექტული იყო. პირველი 10-15 წუთის შემდეგ გამოიკვეთა ზუგდიდელთა ტერიტორიული უპირატესობა, ისინი მწვავედ უტევდნენ თბილისელთა კარს. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ყიზილაშვილი, შონია, შეროზია... ერთადერთი გოლი კი სტუმართაგან 24-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ ყიზილაშვილმა თავით გაიტანა. მიუხედავად ორივე გუნდის მცდელობისა, ანგარიში უცვლელი დარჩა.

**!** ჯერ კიდევ თამაშის მსვლელობისას თბილისელები მსაჯთა თითქმის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, ეკამათებოდნენ მას. შეხვედრის ბოლო წუთზე ზუგდიდელთა კარისკენ დარტყმული ბურთი ხელზე მოხვდა სტუმართა ერთ-ერთ მოთამაშეს. თბილისელები მოითხოვდნენ თერთმეტმეტრიანის დანიშვნას, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ ოდიშელს ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელზე და თამაშიც დაასრულა. ამის შემდეგ, „შევარდენის“ ფეხბურთელები შემოეხვივნენ მსაჯს, რამაც, ცხადია, მაყურებელიც აღაგზნო. 15-20 წუთი იდგნენ მსაჯები მოედანზე და ელოდებოდნენ „გულშემატკივართა“ დაშლას, რომელნიც გასასვლელში იცდიდნენ. საქმეში მილიციის თანამშრომლები ჩაერივნენ, მსაჯები შუაში ჩაიყენეს და გასახდელისაკენ გაემართნენ... „შევარდენის“ თავაშვებულ ქომაგთა და ფეხბურთელთა ჯგუფი არაფერს დაერიდა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ.

კომენტარი ვთხოვეთ მატჩის კომისარს ილო მჭედლიშვილს.

— თავიდანვე ორივე მხარე უხეშობდა. წინა ტურში „შევარდენი“ დამარცხდა, რამაც გაამძაფრა მატჩი. ვითარება დაძაბა იმანაც, რომ ერთ-ერთმა გვერდითმა მსაჯმა დააგვიანა შეხვედრაზე. მსაჯმა ვერ გაართვა თავი შეხვედრას. თავიდანვე რომ დაესაჯა რომელიმე ფეხბურთელი კამათისათვის, შესაძლოა, ეს აყალმაყალი არ მომხდარიყო.. რაც შეეხება თერთმეტმეტრიანს, მოგეხსენებათ, იგი ინიშნება მაშინ, თუ ხელით განზრახ ითამაშებენ, მაგრამ თუ მოთამაშეს ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელზე, პენალტი არ ინიშნება.

**გია გურდული**

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „დილა“ (გორი) 2:0 (1:0).**

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 3 აპრილი.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, გოგელიძე, ჰელიძე, ვ. ფეხტვენიძე. რ. იობიძე (ჩიხლაძე), ცნობილაძე, სიჭინავა (ხარაბაძე), ჰყონია, ბაბუნიძე, ჰ. იობიძე.

„დილა“: ტოგონიძე, კონდრატიევი, გაგნიძე, წიკლაური, ანიაშვილი, შავდათუაშვილი (ბალაბანოვი), მარეხაშვილი, მიქელაძე, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, ნეფარიძე.

მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), მ. ზერჩუაშვილი (თბილისი).

**ამ** შეხვედრაში წყალტუბოელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ თამაშის მეორე წუთზევე შექმნეს სახიფათო მომენტი სტუმართა კართან, ხოლო მე-4 წუთზე გორელები უხეშად ეთამაშნენ ჰ. იობიძეს და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. გოგელიძემ ზუსტად დაარტყა — 1:0. ეს ანგარიში პირველ ნახევარში არ შეცვლილა. მართალია, გორელებს ტაიმის ბოლოს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მეკარე მიქაძე შეუცდომლად თამაშობდა.

მეორე ტაიმში კვლავ საგრძნობი იყო „სამგურალის“ უპირატესობა. 47-ე და 59-ე წუთებზე ხარაბაძეს მიეცა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ „დილას“ მეკარე ტოგონიძემ მოიგერია მისი სახიფათო დარტყმები.

მასპინძელთა მონდომებას უკვალოდ არ ჩაუვლია: 78-ე წუთზე გუნდის დებიუტანტის ჰყონიას მიერ ოცდაორი მეტრიდან ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში გავიდა — 2:0.

**ომარ ჭუმბურიძე,**
„ლელოს“ კორ.

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 4:2 (2:0).**

გურჯაანი. „ალაზნის“ სტადიონი. 3 აპრილი.

„ალაზანი“: ჰუნიაშვილი, შუბითიძე, კევლიშვილი, ძნელაძე (წიქარიშვილი), ლობჟანიძე (შეხვატოვი), სანადირაძე, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, სოლოღაშვილი, თეთრაული, კობახიძე.

„სანავარდო“: გამყრელიძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლეკვეიშვილი, რუხაძე, ნოზაძე (კოტრიკაძე), ბრეგვაძე, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ლორთქიფანიძე.

მსაჯები: მ. ჰელიძე, თ. ლორთქიფანიძე, ზ. ლაცაბიძე (სამივე — თბილისი).

თავიდანვე ვიტყვით: უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტის — „ალაზნის“ თამაშით კმაყოფილი დარჩა გურჯაანის სტადიონზე მოსული ათი ათასამდე მაყურებელი.

„სანავარდოს“ მეკარემ მხოლოდ მე-18 წუთამდე „შეინახა“ საკუთარი კარი „მშრალად“, მანამდე, სანამ გურჯაანელ ზაალიშვილის მიერ ახლო მანძილიდან თავით დარტყმული ბურთი მეკარისგან მარცხენა მაღალ კუთხეში არ აღმოჩნდა. შვიდი წუთიც და, თეთრაულმა კიდევ ერთხელ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მეორე ტაიმიც გურჯაანელთა „სცენარით“ წარიმართა, თუმცა, 51-ე წუთზე, სამტრედიელთა ერთ-ერთი იშვიათი შეტევისას, მასპინძელთა მცველებმა შეცდომა დაუშვეს, რითაც კარგად ისარგებლა ბრეგვაძემ და ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი. საპასუხოდ „ალაზანმა“ მწვავედ შეუტია და თეთრაულ-ზაალიშვილის კომბინაციას მე-60 წუთზე მესამე გოლი მოჰყვა. 77-ე წუთზე სამტრედიელმა რუხაძემ გამოიჩინა თავი, დარჩენილ დროში კი „ალაზანი“, რომ იტყვიან, არ სცილდებოდა სტუმართა საჯარიმოს: ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ თეთრაულს, ზაალიშვილს, ბაწაშვილს, კობახიძეს, სოლოღაშვილს, მაგრამ გურჯაანელებმა მხოლოდ ერთხელღა მიაღწიეს მიზანს — თამაშის ბოლო წუთზე თეთრაულმა გვერდი აუარა ორ მცველს და წერტილი დაუსვა მატჩს — 4:2.

**რამინ ყურაშვილი,**
„ლელოს“ სპეც. კორ.
გურჯაანი.



„ალაზანი“ — „სანავარდო“. ვ. ღარიბაშვილის ფოტო.

**„მზიური“ (გალი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2 (2:2).**

გალი. ცენტრალური სტადიონი. 3 აპრილი.

„მზიური“: მაკახარაშვილი, კვეკვესკირი, ფარფალია, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, კაკუბავა (ეთერია), ჯლარკავა, მორგოშია, ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.

„კოლხეთი“: ბერაძე (ბაბუაძე), ბოზტანჯიანი, კაციტაძე, ზურლაია, თევზაძე, მამფორია, ბაკურაძე, ხურცილავა (გვასალია), კულუჟა (ლატარია), პიმუშინი, ჰიჰინაძე.

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ვ. ხეჩოიანი, ზ. დარჩია (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს: თ. ლურწკაია, ი. კალუჟა, მ. კაციტაძე, ა. აიმუშინი.

გალელი ფეხბურთელები არასდროს უჩიოდნენ გულშემატკივართა უყურადღებობას, ახლაც, უამინდობის მიუხედავად, მაყურებელი მრავლად მოვიდა გალის ცენტრალურ სტადიონზე.

თამაში სწრაფ ტემპში, შედეგიანად დაიწყო: უკვე მეოთხე წუთზე, მასპინძლებმა შეძლეს სტუმართა კარის აღება — კ. კვეკვესკირმა ძლიერი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ბურთი სტუმართა კარში, მალე ხობელმა ბაკურაძემ შეძლო ანგარიშის გათანაბრება, 25-ე წუთზე კი კვლავ კ. კვეკვესკირმა, ისევ საჯარიმო დარტყმით დააწინაურა გალელები. სამიოდე წუთში კი კალუჟამ „მზიურის“ კარში მეორე საპასუხო გოლი გაიტანა და ანგარიში გათანაბრდა — 2:2. ერთი სიტყვით, ნახევარი საათის განმავლობაში მაყურებლებმა ოთხი ერთმანეთზე ლამაზი გოლი იხილეს. თუ შეხვედრის პირველი ნახევარი საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა, ამას ვერ ვიტყვით მეორე ტაიმზე, რადგან, ბრძოლის სიმძაფრე დაცხრა და 83-ე წუთამდე, ვიდრე მსაჯმა პენალტი არ დანიშნა ხობელთა კარში, გოლი აღარ გასულა. თერთმეტმეტრიანი კი ზუსტად დაარტყა „მზიურის“ ახალბედამ მორგოშიამ.

**დეზმირ ბელენავა,**
„ლელოს“ საკ. კორ.

**„სულორი“ (ვანი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 0:0.**

ვანი. ცენტრალური სტადიონი. 3 აპრილი.

„სულორი“: კიკალეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, ძაგნიძე, ორმოცაძე, პაიკიძე, არველაძე (დვალიშვილი), ხურცილავა, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, შეყილაძე, შანიძე, მ. მახარაძე, ბრუნჯაძე, კულუმბეკოვი (ი. მახარაძე), ტულუში, კიურჯიევი.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, დ. თოდუა, (ორივე — თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).

გააფრთხილეს: ა. გოგიტიძე.

ჩინებული საფეხბურთო ამინდი იდგა ვანში, მაყურებელიც მრავლად მოვიდა სტადიონზე. თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ პირველი ოცი წუთის განმავლობაში მეკარეებს დიდი ჯაფა მაინც არ დასდგომიათ, რადგან მცველები საჯარიმოს მისადგომებთანვე ახერხებდნენ ხიფათის თავიდან აცილებას. 21-ე წუთზე ხურცილავა—ჯ. ვერულაშვილ—პაიკიძის მრავალსვლიანი კომბინაცია მეკარე ბალაძის „ხელებში დასრულდა“, ორიოდე წუთში ორმოცაძეს გაუცუდდა დარტყმა. ბათუმელთაგან განსაკუთრებით კიურჯიევი აქტიურობდა, მაგრამ მისი დარტყმები ან არაზუსტი იყო, ან მეკარე კიკალეიშვილი მოქმედებდა ზუსტად.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად წარიმართა: ჯერ ჯ. ვერულაშვილი და ორმოცაძე აღმოჩნდნენ ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ ვერ გამოიყენეს კარის აღების ხელსაყრელი შესაძლებლობა, შემდეგ კიკალეიშვილმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია ტულუშის დარტყმა.

ამ შეხვედრას სავსებით სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ „მეკარეების მატჩი“, რადგან, რომ არა მათი ოსტატური თამაში, ანგარიში აუცილებლად გაიხსნებოდა.

თამაშის ბოლო თხუთმეტი წუთი ერთობ დაძაბული იყო, ორივე გუნდს ნერვულობა დაეტყო, მაგრამ, მიუხედავად თავდამსხმელების არაერთი ცდისა, ტაბლო ნულოვანი ფრე შემორჩა.

**[illegible],**
„ლელოს“ კორ.

**„ივერია“ (ხაშური) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 1:0 (1:0).**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 3 აპრილი.

„ივერია“: ბრიაუნისი, რ. ნოზაძე, პ. ნოზაძე, მადრაძე, ჭანგურიძე, ხარაზიშვილი (ჰინჰარაული), ქიმერიძე, კისელიოვი, მჭედლიშვილი (კვანტალიანი), მღვდელაძე, რობაქიძე.

„მერცხალი“: ზოიძე, ცერცვაძე, ტულუში, მჟავანაძე, ხამაშურიძე, კალატოზიშვილი, ჩხაიძე, კაშია, ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაჭუტაძე (კალანდაძე), ამაშუკელი.

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, ლ. მგელაძე (ორივე — თბილისი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

გოლი: ბ. რობაქიძე.

• • •

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „გორდა“ (რუსთავი) 1:0 (1:0).**

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 3 აპრილი

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა, დანელია, გუჯაბიძე, ჩხაიძე, ცომაია, მიქაბერიძე, მეგრელაძე, კორლალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი (ლობჟანიძე), თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

მსაჯები: სილაგავა (თბილისი), დ. მაჩიტაძე (ქუთაისი), ვ. ეჯიბია (თბილისი).

გააფრთხილეს: ტ. კაპანაძე.

გოლი: ო. კორლალიძე (თერთმეტმეტრიანი).

• • •

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0:1 (0:1)**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 3 აპრილი.

„მარგვეთი“: დევაძე, ბებიაშვილი, გურიელიძე (ხუჯაძე), ღონღაძე, ლაცაბიძე, გაბრიჩიძე, ინიაშვილი (ფოცხვერაშვილი), ავრამიდისი, ჯუღელი, კიკნაძე, კერძევაძე.

„კოლხეთი-1913“: გვახალია, თიბილაშვილი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, (ლაღანიძე), გენძეხაძე, თვარაძე, ქობალია.

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ო. გუნთაძე, ნ. კილაძე (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: მ. ხუჯაძე,

გოლი: მ. ქობალია.

## გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 5 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 4 | 3 | 1 | 0 | 5-1 | 10 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 4 | 3 | 0 | 1 | 8-1 | 9 |
| „იბერია“ (თბილისი) | 4 | 2 | 2 | 0 | 10-3 | 8 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| „დილა“ (გორი) | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| „სულორი“ (ვანი) | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| „გორდა“ (რუსთავი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| „მზიური“ (გალი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 4 | 1 | 0 | 3 | 5-5 | 3 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 4 | 1 | 0 | 3 | 6-7 | 3 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| „ივერია“ (ხაშური) | 4 | 1 | 0 | 3 | 1-9 | 3 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 4 | 1 | 0 | 3 | 2-11 | 3 |

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი. III ტური.

**„არაგვი“ (დუშეთი) — „ეგრისი“ (სენაკი) 4:0;** მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა); გოლები: წიკლაური, ბექანიშვილი, მიმინოშვილი-2 („არაგვი“).

**„სიხარული-90“ (გაგრა) — „კახეთი“ (თელავი) 1:1;** მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი); გოლები: მოსიავა („სიხარული-90“); აფაქიძე („კახეთი“).

**„იმერეთი“ (ხონი“) — „მრეტები“ (თბილისი) 0:1;** მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი); გოლი: ტყავაძე („მრეტები“).

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია დ. ჯანელიძე, ბურთის განზრახ გადაგდებისათვის — კ. ყორღიკაშვილი (ორივე — „მრეტები“), უხეში თამაშისათვის — კ. ფანცულაია, მსაჯთან კამათისათვის — ნ. მოსიაშვილი (ორივე — „იმერეთი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 0:1;** მსაჯი ზ. ლაცაბიძე (თბილისი); გოლი: გ. ფანჩულიძე („ოკრიბა“).

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია გ. ფანჩულიძე („ოკრიბა“).

**„შუქურა“ (ქობულეთი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 2:1;** მსაჯი ვ. ეჯიბაია (თბილისი); გოლები: ანანიძე, კომახიძე („შუქურა“), ხურცილავა (სტუ).

**„სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 3:0;** მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი); გოლები: გიორგობიანი, კვირტია, მაქაცარია („სქური“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0;** მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი); გოლი: კავთელიძე („მაღაროელი“);

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0;** მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი); გოლები: ჯულუხაძე, უკლება („საპოვნელა“);

**„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:0;** მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი);

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია ე. გაგნაშვილი („ბახტრიონი“); საჯარიმო დარტყმის დროს ბურთის წინ წაწევისათვის — გ. მწყერაშვილი („ჩიხურა“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1;** მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი); გოლები: გაბიძაშვილი („სიონი), სოლოღაშვილი („არმაზი“).

მსაჯთან კამათისათვის გაფრთხილებულია მ მანაგაძე („სიონი“).

## I ჯგუფი. IV ტური.

**„ეგრისი“ (სენაკი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:2;** მსაჯი ვ. ეჯიბაია (თბილისი); გოლები: ივანიშვილი, ქანტურია, კუჭავა („ეგრისი“); სოლოღაშვილი-2 („არმაზი“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სიონი“ (ბოლნისი) 0:0;** მსაჯი დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:0;** მსაჯი ვ. ეჩოიანი (თბილისი); გოლები: ქვილითაია, ჯაკონია („სამეგრელო“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:0;** მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი), გოლები: ძაგანია, ბებია, ღვინიაშვილი („დურუჯი“).

**ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0;** მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი); გოლი ქანკვეტაძე (ფიზკ. ინსტ.).

განზრახ ხელით თამაშისათვის გაფრთხილებულია მ. გურცაძე, არასპორტული საქციელისათვის — კ. ტოგონიძე (ორივე — ფიზკ. ინსტ.).

**„მრეტები“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორი) 2:1;** მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი); გოლები: ხორგუაშვილი („ქართლი“), ჯაგიდისი, ტყავაძე („მრეტები“):

უხეში თამაშისათვის გაფრთხილებულია ხ. მელაძე („ქართლი“).

**„კახეთი“ (თელავი) — „იმერეთი“ (ხონი) 3:0;** მსაჯი ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი); გოლები: კილასონია, ქვრიტიძე-2 („კახეთი“).

უხეში თამაშისათვის გაფრთხილებულია კ. ლიპარტელიანი („იმერეთი“).

**„არაგვი“ (დუშეთი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 2:0;** მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი); გოლები: ჯამაგიძე, მოსიაშვილი („არაგვი“).

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 0:0;** მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი);

**„ოკრიბა“ (ტყიბული) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0;** მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი); გოლი: ფანჩულიძე („ოკრიბა“).

უხეში თამაშისათვის გაფრთხილებულია ჯ. ბერიძე („შუქურა“), მსაჯთან კამათისათვის — რ. სამხარაძე („ოკრიბა“).

# გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი — მდგომარეობა 4 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მრეტები“ (თბილისი) | 4 | 4 | 0 | 0 | 6-1 | 12 |
| „ოკრიბა“ (ტყიბული) | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 4 | 3 | 0 | 1 | 4-2 | 9 |
| კახეთი“ (თელავი) | 4 | 2 | 2 | 0 | 8-2 | 8 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 |
| „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| სტუ (თბილისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 4 | 2 | 0 | 2 | 5-2 | 6 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| „ეგრისი“ (სენაკი) | 4 | 2 | 0 | 2 | 4-9 | 6 |
| „არმაზი“ (მცხეთა) | 4 | 1 | 2 | 1 | 8-4 | 5 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 5 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 4 | 1 | 0 | 3 | 1-5 | 3 |
| „სიონი“ (ბოლნისი) | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| „სიხარული-90“ (გაგრა) | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| „იმერეთი“ (ხონი) | 4 | 0 | 0 | 4 | 0-8 | 0 |

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**10 აპრილი ევროპული საკლუბო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩების დღეა. ინტერესი ამ პოპულარული შეჯიბრებისადმი, როგორც ყოველთვის, ძალიან დიდია. მიმომხილველები მათ ვრცელ წერილებს უძღვნიან, მაგრამ, ცხადია, კატეგორიული დასკვნებისაგან მაინც თავს იკავებენ. ძნელია, წინასწარ განჭვრიტო გუნდს, რომელმაც უკვე წარმატებით განვლო სამი თუ ოთხი წრე. ყველა დარჩენილი მონაწილე ხომ მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — მოიპოვოს თასი.**

## ჩემპიონთა თასი

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ოლიმპიკი“ (მარსელი). მოსკოველები ამ გათამაშებაში საკმაო წარმატებით გამოდიან, თუმცა მათ ძლიერი მეტოქეები შეხვდათ. პირველ წრეში ანუ მეთექვსმეტედფინალში მათ სძლიეს პრაღის „სპარტას“ — 2:0, 2:0. მეორე მეტოქე „ნაპოლი“ მათ პირველი ფრის (0:0) შემდეგ პენალტების სერიით დაამარცხეს — 5:3, და აი, სულ ახლახან, „სპარტაკმა“ გათამაშებას ჩამოაშორა თვით მადრიდის „რეალიც“ კი — 0:0, 3:1. ასეთ შედეგს, თუნდაც „რეალის“ დღევანდელი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, მაინც არავინ ელოდა.

ფრანგებმა მეთექვსმეტედფინალში ტირანის „დინამოს“ აჯობეს — 0:0, 5:1, მერვედფინალში — პოზნანის „ლეხს“ — 2:3, 6:1. „ოლიმპიკმა“ განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია მეოთხედფინალში, სადაც მას დაუპირისპირდა იმ დროისათვის მსოფლიოს № 1 საკლუბო გუნდად აღიარებული „მილანი“. თუ მანამდე ექსპერტები, ცოტა არ იყოს, ირონიულად ეკიდებოდნენ „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელების არაერთგზის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მარსელლები აუცილებლად მოიპოვებენ ჩემპიონთა თასს, ახლა აზრი შეიცვალეს. პირველი მატჩი მილანში ფრედ (1:1) დასრულდა, მეორე კი „ოლიმპიკმა“ მოიგო (1:0) და. ახლა, რასაკვირველია, ოპტიმისტურად არის განწყობილი. აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: ამ გუნდს ზურგს უმაგრებს ისიც, რომ, ფაქტობრივად, ვერსად წაუვა საფრანგეთის ჩემპიონობა. „ოლიმპიკის“ მწვრთნელი, ცნობილი ბელგიელი სპეციალისტი რაიმონ გუტალსი და კლუბის მეპატრონის, მულტიმილიონერ ბერნარ ტაპის მრჩეველი (ოფიციალურად მას კლუბის ტექნიკური დირექტორი ჰქვია) ფრანც ბეკენბაუერი მართალია, საკმაოდ ფრთხილად, მაგრამ მაინც აცხადებენ, რომ ისინი დაძლევენ „სპარტაკის“ ჯებირს.

„ბაიერნი“ (მიუნხენი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი). თუ აქამდე ევროპაში „ბაიერნს“ ვინმესი ეშინოდა, ეს მხოლოდ „მილანი“ იყო. იტალიელების მარცხმა გუნდზე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს.

პირველ წრეში „ბაიერნმა“ დაამარცხა „ნიქოზია“ — 3:2, 4:0; არც მეორეში შეხვედრია დიდი წინააღმდეგობა — ორ თამაშში 7 მშრალი ბურთი გაუტანა სოფიის ცსკას — 3:0, 4:0. აი, მეოთხედფინალში კი გერმანელებმა, ცოტა არ იყოს, შიში ჭამეს. საქმე ის არის, რომ მათი პირველი მატჩი „პორტუსთან“ მიუნხენში ფრედ — 1:1 დამთავრდა. სამაგიეროდ, საპასუხო მატჩი პორტუგალიაში „ბაიერნმა“ მეტად მობილიზებულად წარმართა და მოიგო — 2:0. ახლა



გუნდი გერმანიის ჩემპიონატში გამარჯვების შესაძლებლობასაც ინარჩუნებს. იუპ ჰაინკესის უკანასკნელი ინტერვიუების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გუნდის მწვრთნელს წელს „ორ ფრონტზე“ გამარჯვების დიდი იმედი აქვს.

ახლა ვნახოთ, როგორი გზა გაიარა ნახევარფინალამდე ბელგრადის პოპულარულმა „ცრვენა ზვეზდამ.“ მან გზიდან ჩამოიცილა ციურიხის „გრასჰოპერსი“ — 1:1, 4:1. „გლაზგო რეინჯერსი“ — 1:1, 3:0 და დრეზდენის „დინამო“ — 3:0, 2:1. გუნდი ახლა იუგოსლავიის ჩემპიონატის ლიდერია.

„ბაიერნისა“ და „ცრვენა ზვეზდას“ ნახევარფინალურ მატჩებში ექსპერტები უპირატესობას გერმანელ ფეხბურთელებს ანიჭებენ.

## თასების მფლობელთა თასი

„ლეგია“ (ვარშავა) — „მანჩესტერ იუნაიტედი.“ მოგეხსენებათ, ბოლო წლებში პოლონეთის გუნდები ევროპულ ფეხბურთში ვერაფრით გამოირჩეოდნენ. ახლა კი მიმომხილველები აღნიშნავენ ამ ქვეყნის ფეხბურთში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებს, პირველ რიგში, „ლეგიის“ წარმატებაზე ითქმის. პირველ წრეში ვარშაველებმა ორჯერ ერთნაირი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს „სვიფტ ესპერანჟ.“ ცხადია, გაცილებით ძნელი იყო გათამაშებიდან შოტლანდიის „აბერდინის“ „გამოძევება“ — 1:0, 0:0; დაბოლოს, დიდ სენსაციად ჩაითვალა მეოთხედფინალში გენუის „სამპდორიის“ ძლევა — 1:0, 2:2. კლუბისა, რომელიც ახლა იტალიის ჩემპიონობისათვის იბრძვის და ევროპაშიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. რა თქმა უნდა, „ლეგიას“ წარმატებას ოდნავაც არ ამცირებს იტალიის ამ კლუბის წარმომადგენელთა განცხადება, რომ მათთვის წლეულს მთავარი „სკუდეტო“ (იტალიის ჩემპიონობა), ხოლო ევროპულ ტურნირს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ვანიჭებთო.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ოდესღაც „ჭუხდა“ ევროპულ ფეხბურთში, ახლა კი თანდათანობით აპირებს დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას. პირველ წრეში უნგრეთის „პეჩს“ მანჩესტერელებმა შედარებით იოლად სძლიეს — 2:0, 1:0, თუმცა განთქმული ბრაიან რობსონის გარეშე უხდებოდა თამაში; მეორე წრეში მოუგეს უელსის „რექსჰემს“ — 2:0, 3:0. არც საფრანგეთის „მონპელიე“ აღმოჩნდა მათთვის ტოლფასოვანი პარტნიორი — 1:1, 2:0.

ვინ გავა ფინალში — „ლეგია“ თუ „მანჩესტერ იუნაიტედი?“ მიმომხილველთა უმრავლესობა უპირატესობას ინგლისელებს ანიჭებს.

„ბარსელონა“ — „იუვენტუსი.“ ევროპული საკლუბო ფეხბურთის ამ ორი გრანდის შეხვედრა უფრო ფინალისთვის იქნებოდა უპრიანი. ეს „ფინალი ნახევარფინალში“ მართლაც რომ დიდ ინტერესს იწვევს.

„ბარსელონამ“ ტურნირი „ტრაბზონსპორთან“ მოულოდნელი მარცხით (0:1) დაიწყო, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში პირდაპირ გაანადგურა მეტოქე — 7:2, მეორე წრეში კატალონიელებმა იოლად სძლიეს რეიკიავიკის „ფრამს“ — 3:0, 2:1, შემდეგ, რომ იტყვიან, არცთუ თავგადასავლების გარეშე — კიევის „დინამოს“ — 3:2, 1:1. ამავე დროს „ბარსელონას“ ესპანეთის ჩემპიონატში ოქროს მედლის [illegible] აშორებს. [illegible] რულებმა. ახლა შეძლება „ვალენსიის“ გაისტუმრის“. მან ერთი დანაპირები უკვე შეასრულა — ახლა „ბარსელონა“ გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე მისი ტრადიციული მეტოქე „რეალი.“

„იუვენტუსს,“ თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, არა აქვს იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლის რეალური შესაძლებლობა, ამიტომ მთელ თავის ძალებს თასების მფლობელთა თასს მოახმარს. „ბებერი ქალბატონი“ აქამდე შეხვდა ბულგარეთის „სლივენს“ — 2:0, 6:1, ვენის „აუსტრიას“ — 4:0, 4:0 და ბელგიის „ლიეჟს“ — 3:1, 3:0. სკილაჩისა და ბაჯოს ცნობილი დუეტი აქ უფრო ეფექტურად გამოიყურება, ვიდრე იტალიის ჩემპიონატში. ამას უნდა დავუმატოთ ნიჭიერი ახალგაზრდა თავდამსხმელის კაზირაგისა და გერმანელი ნახევარმცველის ჰესლერის მშვენიერი თამაში.

ვის უნდა მიენიჭოს უპირატესობა „ბარსელონასა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრებში? — ვინ იცის!

## უეფა-ს თასი

„ბრონდბი“ — „რომა.“ დანიის ... ამ. ფაქტობრივად, სამოყვარულო კლუბის ესოდენი დაწინაურება წლევანდელი ტურნირის დიდი მოულოდნელობაა. გამოჩენილმა ფეხბურთელმა მორტენ ოლსენმა, შარშან რომ გამოეთხოვა დანიის ნაკრებს, მოკლე დროში ძლიერი გუნდი შექმნა. მან პირველივე წრეში დიდი ყურადღება მიიპყრო, როცა გათამაშებიდან „დაითხოვა“ მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი“ — 5:0, 1:4. — დანიის ფეხბურთს არ სჩვევია დიდი „ფონის გასვლა“ — განაცხადა მაშინ ოლსენმა. კოპენჰაგენელებმა მეორე წრეშიც წარმატებით ითამაშეს — ამჯერად ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ „იმსხვერპლეს“ — 1:0, 3:0. ამას ლევერკუზენის „ბაიერნისა“ (3:0, 0:0) და მოსკოვის „ტორპედოს“ (1:0, 0:1, პენალტებით 4:2) დამარცხებაც მოჰყვა. ასე რომ, დანიის კლუბი პირველად გავიდა ევროპული ტურნირის ნახევარფინალში.

რა თქმა უნდა, „რომა“ უფრო ტიტულოვანი გუნდია. როგორი გზა გაიარა მან ნახევარფინალამდე? — დასაწყისში ორი მატჩი მოუგო (1:0, 1:0) ოდესღაც სახელოვან „ბენფიკას“, შემდეგ იტალიელებმა აჯობეს „ვალენსიას“ — 2:1, 0:0. მეტად იოლად მოუგეს „ჟირონდას“ (ბორდო) — 5:0, 2:0, მეოთხედფინალში კი — ბრიუსელის „ანდერლეხტს“ — 3:0, 3:2. „რომას“ რიგებში მიმომხილველები, პირველ რიგში, აღნიშნავენ გერმანიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელის ფიოლერის ძალზე ძლიერ და შედეგიან თამაშს.

ექსპერტების აზრით, „ბრონდბიუსა“ და „რომას“ მატჩებში შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

„სპორტინგი“ (ლისაბონი) — „ინტერი“ (მილანი). აი, ამ შეხვედრაში კი იტალიელები აშკარა ფავორიტებად ითვლებიან. გერმანელი „ლანდსკნეხტებით“ გაძლიერებული / ეს პოპულარული კოლექტივი, იტალიის ჩემპიონატში ჩამორჩება „სამპდორიას,“ მაგრამ ახლა უეფა-ს თასის მთავარ პრეტენდენტად უნდა ჩაითვალოს.

გადავხედოთ მეტოქეთა მიერ განვლილ გზას: „სპორტინგმა“ მოუგო ბელგიის „მეხელენს“ — 1:0, 2:2, ტიმიშოარის „პოლიტეხნიკას“ — 0:2, 7:0, ჰოლანდიის „ვიტესს“ — 2:0, 2:1, და „ბოლონიას“ — 1:1, 2:0. „ინტერმა“ სძლია ვენის „რაპიდს“ —1:2, 3:1 (დამატებით დროში), ბირმინგემის „ასტონ ვილას“ — 3:0, 0:2, ბელგრადის „პარტიზანს“ — 3:0, 1:1 და ბერგამოს „ატალანტას“ — 0:0, 2:0.

შეგახსენებთ, რომ სამივე ტურნირში ნაევარფინალური მატჩები გაიმართება 10 და 24 აპრილს.

**ბიძი თორელი**

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **პარიზი.** ალბანეთის ნაკრების ოთხი ფეხბურთელი აღარ დაბრუნდა სამშობლოში, საფრანგეთისა და ალბანეთის ეროვნული ნაკრები გუნდების ევროპის პირველობის შესარჩევი შეხვედრის შემდეგ. კიდევ სამი ალბანელი ფეხბურთელი გაიპარა შვეიცარიაში გუნდის გაჩერებისას. ასე რომ, როგორც რეიტერის სააგენტო და გაზეთი „ეკიპი“ იტყობინებიან, ალბანეთის ნაკრების 16 ფეხბურთელიდან შინ მხოლოდ ცხრა დაბრუნდა.

● **რომი.** იტალიის საფეხბურთო კლუბი „მილანი“ აპირებს თავისი შემადგენლობა გააძლიეროს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასა“ და იუგოსლავიის ნაკრების წევრით რობერტ პროსნიჩეკით.

როგორც გაზეთი „კორიერე დელა სერა“ იუწყება, 22 წლის რ. პროსნიჩეკის შესაძენად „მილანმა“ 8,3 მილიონი დოლარი გადაიხადა, „მილანის“ შემადგენლობაში საკმაო ხანია გამოდიან ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელები: ვან ბასტენი, რუუდ გულიტი და ფრანკ რაიკაარდი, რ. პროსნიჩეკი კი რიგით მეოთხე უცხოელია კლუბში. ჯერ გაურკვეველია, გამოეთხოვება ერთ-ერთ ჰოლანდიელ ფეხბურთელს „მილანი“, თუ იმის იმედად დარჩება, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კლუბებს ნებას დართავს თავიანთ შემადგენლობებში იყოლიონ 4-4 უცხოელი.

● **მადრიდი.** მომავალი სეზონიდან ახალ კლუბში ითამაშებს მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი უგო სანჩესი, ამ ცნობას გვაწვდის ფრანს პრესის სააგენტო.

„რეალის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ აღარ გააგრძელებს კონტრაქტს 32 წლის მექსიკელ ფეხბურთელთან, რომელიც 5 სეზონის განმავლობაში ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო, შარშან, კი, ევროპის საუკეთესო სნაიპერის წოდება მოიპოვა.

უ. სანჩესისადმი ახლა ინტერესს იჩენენ იტალიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის კლუბები.

● **ბრაზილია,** ბრაზილიური ფეხბურთის ხელმძღვანელობამ ოფიციალური საჩივრით მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას იმის თაობაზე, რომ იტალიის კლუბებმა: „რომამ“, „ლეჩემ“, „პარმამ“ და „ბარიმ“ არ შეასრულეს პირობა და ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეები ალდაირი, მაზინიო, ტაფარელი და ჟოაო პაულუ არ გაათავისუფლეს ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მატჩში სათამაშოდ.

მხოლოდ „ბარის“ ხელმძღვანელმა გაგზავნა ახსნა-განმარტება ამ საკითხზე და ბრაზილიელთა მწვრთნელს ფალკაოს შეატყობინა, რომ ჟოაო პაულუ ავადმყოფობის გამო, ვერ ჩავიდა არგენტინის დედაქალაქში ბრაზილია-არგენტინის მატჩზე. დანარჩენი კლუბები ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებენ.

● **შვეიცარიის** ფეხბურთის ფედერაციამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მასპინძლად. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში, ციურიხში, ყველა პრეტენდენტმა ქვეყანამ განაცხადები 5 აპრილამდე, უნდა წარადგინოს.

ამრიგად, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველთა შორის არიან ბრაზილია, ინგლისი, საფრანგეთი, ჩილე, ინდოეთი, მაროკო, პორტუგალია, შვეიცარია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გზები სამმო და საასპარეზო

## ლიუბლიანისკენ

**ის** „სუსტი ძაფები", რომლებიც საკავშირო უწყებების გვერდის ავლით, პირდაპირ აკავშირებდა ჩვენს სპორტს უცხოეთთან, გახლდათ ურთიერთობა ჩვენთან დაძმობილებულ ქალაქებსა თუ რეგიონებთან. მაგალითად, სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში მრავალი წელია ასპარეზობენ ჩვენი მძლეოსნები, ველომრბოლები, ტანმოვარჯიშეები.

ახლახან დაკომპლექტდა მძლეოსან კროსმენთა გუნდი, რომელიც ზაგრებისა და ლიუბლიანის ტრადიციულ საერთაშორისო გარბენებში მიიღებს მონაწილეობას. ეს მოხდა უბრალო, ჯენტლმენური წესით — თბილისის სპორტკომიტეტმა მოაწყო ქალაქის ჩემპიონატი და პირველ სამ ადგილზე გასულმა სპორტსმენებმა მიიღო იუგოსლავიაში გამგზავრების უფლება. კუს ტბის ირგვლივ გამართული (დისტანცია 4580 მ) კროსი, იოლი მისახვედრია, დიდი დაძაბულობით გამოირჩეოდა. ფინიშთან პირველი მიიჭრა ოლეგ ხოხლოვი (13.45,0); მეორე ადგილზე გავიდა სერგეი არტამონოვი (13.49,0), მესამეზე — შალვა ნადირაძე (13.52,0). მათ ალბათ დაემატება საკავშირო ნაკრების წევრი თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი და, თუკი ასე მოხდა, თბილისის გუნდს შეუძლია წარმატების იმედი ჰქონდეს იუგოსლავიაში.



## ტექნიკოსთა „ბენეფისი"

**საქართველოს** მკლავჭიდელთა ნაკრების წევრები ძირითადად სტუდენტები არიან და მათი უმრავლესობა სპორტის სხვადასხვა სახეობიდან (ჭიდაობიდან, რაგბიდან, ძალოსნობიდან) მოვიდა მკლავჭიდში. უმაღლესი სკოლებისა და საშუალო-სპეც. სასწავლებლების სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის ინიციატივით და საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის ხელშეწყობით ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში ჩატარდა უმაღლესი და სპეცსასწავლებლების პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება მკლავჭიდში. ამ ასპარეზობისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მასში თბილისის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტებიც კი მონაწილეობდნენ:

უმაღლეს სასწავლებელთა კონკურსში უძლიერესი იყო ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, სპეცსასწავლებლებში კი — პოლიტექნიკური ტექნიკუმისა.

წონითი კატეგორიების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს შორის გაიმარჯვეს გოჩა გოგელიამ (59 კგ, ფიზკულტურის ინსტიტუტი), დავით ჩიტაძემ (68, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი), ზვიად კბილცეცხლაშვილმა (80, სტუ) და ზაზა გუგენაშვილმა (90, თბილისის უნივერსიტეტი). სპეცსასწავლებლების მოსწავლეთა შორის კი — პაპუნა გრძელიშვილმა (59 კგ), ელდარ გურჩიანმა (68), ლერი გვარლიანმა (80), ვაჟა ვალიშვილმა (90) (ყველა — პოლიტექნიკური ტექნიკუმი) და ზაალ მებურიშვილმა (+90, ფიზკულტურის ტექნიკუმი).

27-28 აპრილს, როგორც ცნობილია, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საქართველოს ღია პირველობა მკლავჭიდში, რომელშიც ნავარაუდევია მსოფლიოში უძლიერესი — ამერიკელი და სხვა ქვეყნის ათლეტების გამოსვლა. ასე რომ, პირველი საერთაშორისო ტურნირისათვის მონდომებით ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის მკლავჭიდელები და ეს ამ ტურნირმაც დაადასტურა.

**გაბრიელ ბარჯაძე**

## ევროპის ჩემპიონატი

3 აპრილს ნიქოზიაში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა კვიპროსისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით — 2:0.

**სატურნირო ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 6 |
| იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 4 |
| საბჭ. კავშ. | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| კვიპროსი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-13 | 0 |

უახლოესი შეხვედრა III საკვალიფიკაციო ჯგუფში გაიმართება 17 აპრილს. უნგრელები უმასპინძლებენ სსრ კავშირის ნაკრებს.

**3 აპრილსვე** შვეიცარიის ქალაქ ნევშატელში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები. ფრე — 0:0. II ჯგუფში კვლავინდებურად ლიდერობენ შოტლანდიელი ფეხბურთელები, რომლებსაც 4 თამაშის შემდეგ 6 ქულა აქვთ. მომდევნო ადგილებზე იმყოფებიან შვეიცარიელები და რუმინელები (5-5), ბულგარელები — 4 და სანმარინოელები — 0.

## ალბათ მაინც კანონზომიერება

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტი ბოლო დროს თანმიმდევრულად იბრძვის გიგანტიზმის წინააღმდეგ და ყოველმხრივ ცდილობს შეამციროს მისი მასშტაბები. გიგანტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, პირველ ყოვლისა, ხარჯების შემცირებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის სიდიდეზე, მონაწილეთა რაოდენობაზე და სპორტული ბაზების არსებობაზეა დამოკიდებული.

მაგრამ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიადიდან მოყოლებული შეიმჩნევა ერთი ტენდენცია: ყოველი ახალი ოლიმპიადა უფრო ხშირად ქველზე მეტ მონაწილეს უყრის თავს. რა თქმა უნდა, ეს პრინციპი ზოგჯერ ირღვევა გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით.

ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა" დაბეჭდა საინტერესო ცხრილი, რომელშიც ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა ზრდის ან კლების ტენდენციაა აღბეჭდილი:

1896 ათენი 311
1900 პარიზი 1330
1904 სენტ-ლუისი 625
1908 ლონდონი 2054
1912 სტოკჰოლმი 2541
1920 ანტვერპენი 2606
1924 პარიზი 3092
1928 ამსტერდამი 3014
1932 ლოს-ანჯელესი 1048
1936 ბერლინი 4066
1948 ლონდონი 4099
1952 ჰელსინკი 4925
1956 მელბურნი 3185
1960 რომი 5346
1964 ტოკიო 5140
1968 მეხიკო 5530
1972 მიუნხენი 7156
1976 მონრეალი 6085
1980 მოსკოვი 5326
1984 ლოს-ანჯელესი 6827
1988 სეული 9101
1992 ბარსელონა 10 000

დიაგონალური კომპლექსი — ასე ეწოდება ბარსელონის ერთ-ერთ უბანს, რომელიც ქალაქის შემაღლებულ ნაწილში მდებარეობს და 1992 წელს ოლიმპიური მოვლენების ცენტრში იქნება. აქ მდებარეობს ბარსელონის საფეხბურთო კლუბის ადმინისტრაციული შენობა, სტადიონი 120 ათას მაყურებელზე, უმაღლესი კლასის სასტუმროები და ადგილობრივი უნივერსიტეტის სასახლე, რომელშიც უნდა ჩატარდეს სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების კონგრესები.

დიახ, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები თავს მოუყრის სულ მცირე 10 ათას სპორტსმენს. ეს რწმენა, პირველ რიგში, სპორტის მზარდ პოპულარობაზეა დაფუძნებული. თანაც, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ევროპაში ტრადიციულად მეტი სპორტსმენი ჩამოდის, ვიდრე სხვა კონტინენტებზე, ყოველ შემთხვევაში, ბარსელონას აქვს შანსი გააუმჯობესოს სეულის ოლიმპიადის რეკორდი.

## ნიჭის გზა გაწყდა



არ დასცალდა... სიცოცხლე არ დასცალდა სიცოცხლით სავსეს... სილამაზის ჭვრეტისთვის იყო გაჩენილი. ნიჭის გზამ აკი თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიიყვანა, წელს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი უნდა დაემთავრებინა, კარგი მოქანდაკე დადგებაო, ამბობდნენ პედაგოგები. გატაცებით მუშაობდა სადიპლომო თემაზე...

ხალისიანი, მხიარული, ძალამოზღვავებული სპორტს როგორ უგანებდა! ვასიკო გვაზავა აკადემიაში მოსვლისთანავე სასწავლებლის მორაგბეთა გუნდის წევრი გახდა. აქაც გამოირჩეოდა დაუდგრომლობით და სიახლისაკენ სწრაფვით. მოყვარულ მორაგბეთა კლუბის „აკადემიის" შექმნის ერთ-ერთი მოთავე და შემდგომ ამ კლუბის მდივანიც იყო.

ყველგან სიკეთეს, სიყვარულს და სითბოს თესდა, ყველას უყვარდა და მასთან მეგობრობას ეშურებოდა. თამაშიც უხაროდა, მოუთმენლად ელოდა ხოლმე მატჩის დღეს, გულმოდგინედ ემზადებოდა ეროვნული ჩემპიონატისთვის...

არ დასცალდა...

**რაგბის კლუბი „აკადემია"**



## 50 ჩოგბურთელი ერთ მწკრივში

„იუნაიტედ პრესს ინტერნეიშნლი" გვთავაზობს მსოფლიოს 50 უძლიერეს ჩოგბურთელი ვაჟის რეიტინგს 1991 წლის 1 აპრილისათვის. აი ისიც:

1. ს. ედბერგი (შვეცია) — 3786 ქულა, 2. ბ. ბეკერი (გერმანია) — 3440, 3. ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 2509, 4. გ. ფორჟე (საფრანგეთი) — 1927, 5. ა. აგასი (აშშ) — 1713, 6. პ. სამპრასი (აშშ) — 1540, 7. გ. ივანიშევიჩი (იუგოსლავია) — 1516, 8. ბ. ჯილბერტი (აშშ) — 1443, 9. ჯ. კურიე (აშშ) — 1407, 10. ი სვენსონი (შვეცია) — 1398.

11. ა. გომეში (ეკვადორი) — 1369, 12. მ. ჩანგი (აშშ) — 1364, 13. ე. სანჩესი (ესპანეთი) — 1358, 14. ა. ჩესნოკოვი (სსრკ), — 1343, 15. თ. მუსტერი (ავსტრია) — 1241, 16. ა. ჩერკასოვი (სსრკ) — 1226, 17. ჯ. მაკინროუ (აშშ) — 1212, 18. მ. როსეტი (შვეიცარია) — 1120, 19. მ. შტაიხი (გერმანია) — 1114, 20. გ. პერეს-როლდანი (არგენტინა) — 1099.

21. ი. ჰლასეკი (შვეიცარია) — 1062, 22. ჰ. აგილერა (ესპანეთი) — 1033, 23. დ. უიტონი (აშშ) — 1029, 24. ა. ვოლკოვი (სსრკ) — 992, 25. რ. რენებერგი (აშშ) — 963, 26. კ. ნოვაჩეკი (ჩეხოსლოვაკია) — 955, 27. დ. როსტანო (აშშ) — 923, 28. ს. რუეერა (ესპანეთი) — 916, 29. ა. კრიკშტეინი (აშშ) — 911, 30. ო. კამპორეზე (იტალია) — 887.

31. ა. ლეკონტი (საფრანგეთი) — 852, 32. რ. ფრომბერგი (ავსტრალია) — 852, 33. რ. აგენორი (ჰაიტი) — 841, 34. ქ. კარატი (იტალია) — 817, 35. დ. ჩეილი (ავსტრალია) — 790, 36. ჰ. სკოფი (ავსტრია) — 784, 37. ფ. დავიდი (არგენტინა) — 771, 38. პ. მაკინროუ (აშშ) — 768,39, მ. გუსტაფსონი (შვეცია) — 764, 40. ნ. კოულტი (შვეცია) — 757.

41. ჯ. ბერგერი (აშშ) — 723,42. ა. იარიდი (შვეცია) — 718, 43. გ. პრიჩი (იუგოსლავია) — 710, 44. ა. მანსდორფი (ისრაელი) — 707, 45. ტ. ვუდბრიჯი (ავსტრალია) — 698, 46. მ. კოუერმანსი (ჰოლანდია) — 676, 47. ი. სერმერინკი (ჰოლანდია) — 652, 48. მ. ჰაიტი (არგენტინა) — 644, 49. ლ. მატარი (ბრაზილია) — 638, 50. მ. ლარსონი (შვეცია) — 631.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 აპრილს.

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

### „სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

„სპორტლოტოს" მე-15 ტირაჟი, რომელიც მოეწყობა 1991 წლის 14 აპრილს, რიგით მეათასეა. ამ საიუბილეო ტირაჟში ძირითად ფონდთან ერთად თამაშდება დამატებითი მოსაგები ფონდი 500 000 მანეთის ოდენობით.

მათ შორის:

ლატარია „სპორტლოტო 6-45"— 100 000 მან.

ლატარია „სპორტლოტო 5-36" — 300 000 მან.

ლატარია „სპორტპროგნოზი" — 100 000 მან.

გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად „სპორტლოტოს" საიუბილეო ტირაჟში. გისურვებთ წარმატებას!

**„საქსპორტლოტო"**

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო თანაუგრძნობს ქუთაისის სპორტკლუბ „შევარდენის" დირექტორს შაკო ქურციკიძეს მამის

**შოთა ქურციკიძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიჭინაძე, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54.
„შერანი" — 98-97-26, „შარავე" — 98-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20